მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნოემბერი (ქისლევი) №11 (410) (5776) 2015

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲢᲝᲚᲔᲠᲐᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

16 ნოემბერს მთელი მსოფლიო ტოლერანტობის დღეს აღნიშნავს, რათა სხვადასხვა კონფესიის ადამიანებს, სასულიერო მოღვაწეებს კიდევ ერთხელ შეახსენოს, რომ მხოლოდ ერთმანეთისადმი გამოჩენილი სიყვარულით, პატივისცემით ძალგვიძს ვიცხოვროთ და ვაშენოთ მომავალი.

ტოლერანტობის დღე ფართოდ აღინიშნა საქართველოში. საგანგებო გამოსვლა ჰქონდა და ტოლერანტობის არსზე ისაუბრა ქვეყნის პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. შეხვედრა გამართა რელიგიის საქმეთა სააგენტომ, საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ ქ. თბილისის საკრებულოში გამართული მიღება. ხოლო საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების, კონფესიების მოღვაწენი, რელიგიური ლიდერები. აქ გაიმართა ვრცელი საუბარი ტოლერანტობისა და ტერორიზმის ურთიერთმიმართებაზე. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პარიზში განხორციელებული ბარბაროსული ტერორისტული აქტის შემდეგ.

სიტყვით გამოსული მუსლიმური, თუ ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენლები საუბრობდნენ საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე, ილაპარაკეს რელიგიური შეუწყნარებლობის აქტებზე, ახალგაზრდობის აღზრდაში დაშვებულ შეცდომებზე. აქ სიტყვა წარმოსთქვა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, მწერალმა გურამ ბათიაშვილმა.

პუტინი მხარდაჭერას აპირებს

სექტემბერში ისრაელის პრემიერ-მინისტრი ხანმოკლე ვიზიტით ისრაელს ეწვია. მოსკოვს ჩასვლა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის აუცილებლობა განაპირობა რუსეთის გადაწყვეტილებამ ჩაერიოს ისრაელის უახლოესი მეზობელი სახელმწიფოს — სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტში და გასწიოს სამხედრო მოქმედება ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების წინააღმდეგ.

პუტინთან საუბრისას ნეთანიაჰუმ წამოჭრა რუსეთის იმ ყოფილი მოქალაქეების საკითხი, რომლებიც ისრაელში გადასახლდნენ და დღეს რუსეთის პენსიას არ ღებულობენ. ისრაელის ის მოქალაქეები, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობაც შეინარჩუნეს, დღეს ისრაელში რუსეთის პენსიას ღებულობენ, ხოლო ის ებრაელები, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების წლებში წავიდნენ ისრაელში და რუსეთის მოქალაქეობა ჩამოერთვათ, ამ უპირატესობით ვერ სარგებლობენ.

ბინიამინ ნეთანიაჰუმ ვლადიმირ პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა: ,,პრეზიდენტმა პუტინმა მითხრა, რომ მალე შეეცდება დააჩქაროს ამ საკითხის გადაჭრა. მას მტკიცედ სჯერა, რომ ეს საკითხი ძალიან მალე დადებითად უნდა გადაიჭრას. მე ამისათვის მადლობა მოვახსენე.

ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲘᲖᲠᲐᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ᲛᲐᲠᲝᲛ ᲡᲐᲠᲔᲚᲘ) ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ — ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ იზრაელაშვილი (მარომ სარელი) ამასწინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად — აკადემიკოსად აირჩიეს.

მერაბ იზრაელაშვილი უკვე ოც წელზე (1991 წლიდან) მეტი ხანია ისრაელში მოღვაწეობს საყოველთაოდ ცნობილ შიბას სამედიცინო ცენტრში. მისი პროფესიონალიზმი აქაც უმალ გახდა ცნობილი. ამ რამდენიმე წლის წინათ მერაბ იზრაელაშვილის სახელი ისრაელის ერთ-ერთ ტყე-პარკსაც კი დაერქვა. ეს იმ პაციენტების ინიციატივა გახლდათ, რომლებიც მარომ სარელმა სიკვდილს გამოსტაცა.

მანამ სანამ ისრაელს გადასახლდებოდა, სრულიად ახალგაზრდა მერაბ იზრაელაშვილი საქართველოს სახელმწიფო სამედიციო უნივერსიტეტის კათედრის გამგე გახლდათ და საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტი ონკოლოგიაში. მან 70-80-ნი წლების საქართველოს სამედიცინო წრეებში ჩინებული მეცნიერის, პედაგოგის, უებრო მკურნალის სახელი მოიპოვა.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითადად ულოცავს მერაბ იზრაელაშვილს მისი სამედიცინო-სამეცნიერო ღვაწლის დიდებულ შეფასებას და აღიარებას.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

26-28 ოქტომბერს რომში სასტუმრო „ექსცელსიორში“ მიმდინარეობდა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის მმართველთა საბჭოს სესიაზე. აღმასკომის წევრები გახლავან კონგრესის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები. ამჯერად აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ სხდომაზე ექსპერტებად მოწვეულნი გახლდნენ სხვადასხვა პროფესიის ცნობილი სპეციალისტები.

27 ოქტომბრის სესიაზე ბიზნესმენი და ცნობილი ფილანთროპი, მრავალი საქველმოქმედო საქმიანობის მოთავე მიხეილ მირილაშვილი არჩეული იქნა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად. ეს არის დიდი აღიარება გამოჩენილი ქართველი ებრაელი მოღვაწისა. აღმასკომის წევრები ერთობ დადებითად შეხვდნენ მიხეილ მირილაშვილის ესოდენ ავტორიტეტული, მსოფლიოს მასშტაბით აღიარებული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად არჩევას.

ამჟამად მსოფლიოს ებრაელთა კონგრესში ორი ქართველი ებრაელი ვიცე-პრეზიდენტია: მწერალი, დრამატურგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, კოტე მარჯანიშვილისა და დავით კლდიაშვილის პრემიების ლაურეატი გურამ ბათიაშვილი და გამოჩენილი ქართველი ებრაელი ბიზნესმენი, მეცენატი და ქველმოქმედი მიხეილ მირილაშვილი.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია გულითადად ულოცავს მიხეილ მირილაშვილს ასეთ საერთაშორისო აღიარებას.

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

<u>რედაქტორის</u>
<u>გვერდი</u>

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მმართველთა საბჭოს სესია

26-28 ოქტომბერს რომში, სასტუმრო ,,ექსცელსიორში" გაიმართა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის აღმასრულებელი კომიტეტის — მმართველთა საბჭოს სესია. კონგრესის აღმასკომი წარმოადგენს კონგრესის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტთა საკრებულოს. თუმცა, ამჯერად კონგრესის მეთაურები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლნენ — აღმასკომის სხდომა გაფართოებული ფორმატით ჩატარდა — მოწვეული გახლდნენ მსოფლიოში ცნობილი ებრაელი პოლიტიკოსები, მეცნიერები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სამხედრო საქმის მცოდნე ექსპერტები და სხვ. შესაბამისად, სესიაზე განსახილველი საკითხებისა.

მანამ სანამ აღმასკომის სხდომები — სესია დაიწყებოდა, მისი მონაწილეები გაეცვნენ რომის ებრაულ თემს, იყვნენ ამ ქალაქის გეტოში.

ცნობილია, რომ ებრაელები რომში ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდნენ. იყო ჟამი სირთულეთა, დრამატული, ტრაგიკულიც კი, პერიოდები რომის ებრაელთა ისტორიაში. ცნობილია რომის ებრაელთა ამ ქალაქიდან განდევნის ფაქტიც: ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე და პირველი საუკუნეების მიჯნაზე, პრეტორმა გისპანმა ამ მარადიულ ქალაქში არცერთი ებრაელი არ დატოვა—გაასახლა,მაგრამ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ იულიუს ცეზარმა—დაინახა რა, ებრაელთა ქალაქში ყოფნის აუცილებლობა,ის რომ ებრაელებს მხოლოდ სიკეთე მოჰქონდათ ქვეყნისათვის, ნება დართო რომში დასახლებისა.

საყოველთაოდ ცნობილია რომის იმპერიისა და პატარა იუდეის, იერუსალიმის ისტორიული დაპირისპირება. პირველ ეტაპზე ამგვარი ურთიერთობა იდეოლოგიური ხასიათისა გახლდათ — ადრინდელი ეპოქის, წარმართი რომაელები კატეგორიულად არ იზიარებდნენ იუდაიზმის მონოთეისტურ იდეოლოგიას. ამ ორი ქალაქის,ორი ხალხის ურთიერთობა გამწვავდა მას შემდეგ, რაც რომმა იუდეა დაიპყრო,ხოლო მოგვიანებით, იუდეო-ქრისტიანების გამოჩენის შემდეგ, განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა. ქრისტიანობის ებრაელი იდეოლოგები იმპერიის დედაქალაქში—რომში ჩადიოდნენ და ცდილობდნენ თავიანთი რწმენის, ახალი ღმერთის პროპაგანდას. რომი ქრისტიანობას ,,მზაკვარი ებრაელების" იარაღად მიიჩნევდა. ებრაელთა მიზანი ებრაელთა მსოფლიოზე ბატონობა არისო. რომისა და იერუსალიმის დაპირისპირება საუკუნეები გრძელდებოდა ჯერ როგორც რელიგიურად შეუთანხმებელი სუბიექტებისა, და მერე როგორც დამპყრობლისა და დაპყრობილისა—ებრაელობა არადაარ ურიგდებოდა მის მიწაზე დამპყრობლის თარეშს—ებრაელთა დევნას, ჯვარზე გაკვრას.

მე-16 საუკუნეში რომის პაპმა პავლე მეოთხემ ებრაელები გეტოში გამოამწყვდია. ეს საშინელება სამი საუკუნე გრძელდებოდა. ამ საუკუნეების განმავლობაში რომის ებრაელობის ინტერესები—ცხოვრების უფლება, დათრგუნვილი გახლდათ. მათი გასაჭირის ნაშთებს დღევანდელი გეტო კვლავაც ინახავს.

თუმცაღა, ამ ქალაქის ბეით ქნესეთთან არსებული მუზეუმი ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს იტალიის, რომის ებრაელობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე უზრუნველ, დალხენილ ცხოვრებას ეწეოდა. ამ მუზეუმში თქვენ ნახავთ ხელოვნების გასაოცარ, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე ნიმუშებს. ეს არის ფაროხეთები,სეფერ თორის კაბები, გვირგვინები. გაგაოცებთ ფერთა შეხამების ამპლიტუდა, ნაქარგის ოსტატობა. ხელოვნების ასეთი ქმნილებების ავტორი ხალხი ღირსია ქება-დიდებისა, ღრმა პატივისცემისა.

ამით არა მხოლოდ ერის, რწმენისადმი დამოკიდებულება ვლინდება, დიდი ხელოვნებისაკენ სწრაფვა,ერის მომავალზე ზრუნვაც—ისინი, ვინც ხელოვნების ამგვარ ნიმუშებს ქმნიდნენ,ადამიანები, რომლებიც ამგვარი ნიჭით დაჯილდოებულთ ხელს უწყობდნენ, ქმნადობის საშუალებას აძლევდნენ, არა მხოლოდ რწმენისადმი ერთგულებას ავლენდნენ, ერის მომავალზეც ზრუნავდნენ. წავიდნენ ის თაობები——სხვა სამყაროში გადაინაცვლეს, მაგრამ დაგვიტოვეს დასტური იმისა, რომ რომის ებრაელობა არა მხოლოდ არსებობდა, მომავალში არსებობაზეც ზრუნავდა. ის, რაც მათ შექმნეს, დროში არსებობის გარანტიაა—ებრაელობა კი არასოდეს ელტვოდა სივრცეთა დაუფლებას. იგი დროში არსებობისკენ იყო მომართული. რომის ებრაელობას ადრეულ საუკუნეებში, უაღრესი გასაჭირის დროსაც კი არ უცხოვრია უქმად. ისინი არა მხოლოდ რწმენით იყვნენ სავსენი, ხელოვნების ქმნადობისაკენ მისწრაფებითაც და ყველაფერი ეს ხდებოდა დიდი გასაჭირის წლებშიც. თუნდაც ერთი მაგალითი გავიხსენოთ: რომის ზემოთხსენებულმა პაპმა პავლე მეოთხემ გეტოსთვის ადგილი მდინარე ტიბრის პირად გამოჰყო. რატომ მდინარის პირას?ტიბრი ხშირად ამსხვრევდა ჯებირებს და ახლო-მახლო უბნებს სილით, ქვიშით, მღვრიე წყლით ფარავდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ასეთი ურჩი მდინარე რა დღესაც დააწევდა ახლო-მახლო მოსახლეებს. პაპმა ეს არ იკმარა და გეტოს ირგვლივ ეკლესიები ააშენებინა.ფაქტიურად გეტო ქალაქის დანარჩენი ნაწილისაგან ეკლესიებით გამოჰყო. ებრაელები კი ვალდებულჰყო ყოველ შაბათს (სწორედ შაბათს!) გეტოს ებრაელთაგან ყოველ ეკლესიაში ათ-ათი კაცი მისულიყო წირვის მოსასმენად. ებრაელები პაპის ვერდიქტს დაემორჩილნენ, მაგრამ ძალადობას გონიერებით აჯობეს — ეკლესიაში წირვაზე მისასვლელად ყრუ, სმენადაქვეითებულ ებრაელებს არჩევდნენ. თუ გეტოში ამ სამი საუკუნის განმავლობაში ამდენ სმენადაკარგულს ვერ მოიძიებდნენ, ჯანსაღნი მიდიოდნენ,ოღონდ ისე, რომ ეკლესიაში მისვლამდე ყურს სანთლით ამოიჩულავდნენ. იდგნენ ეკლესიაში და არაფერი ესმოდათ.

როგორ არ გამოვხატოთ აღფრთოვანება რწმენით ასეთი ძლიერი ადამიანების მიმართ, რომელთაც ძალადობამ რწმენის დაცვის ალტერნატიული გზებიც აძებნინა და როდესაც ებრაელთა მოხერხებულობასა და მიხვედრილობაზე ლაპარაკობენ, ამის სათავე ძალადობაშიც უნდა ვეძებოთ — თავსმოხვეული რეალობა, რწმენისადმი ერთგულება აიძულებდათ თავდაცვის საშუალებების ძიებას.

რომის ებრაულმა თემმა მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის წევრებსა და სტუმრებს გაცნობითი ვახშამი სწორედ ბეით ქნესეთთან არსებული მუზეუმის დარბაზში გაუმართა. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით რომის ებრაული თემის პრეზიდენტმა ქალბატონმა **რუთი დურეგჰელომ** მიმართა., საპასუხო სიტყვა კი მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა **რონალდ ლაუდერმა** წარმოსთქვა.

მმართველთა საბჭოს სესია 28 ოქტომბრის დილით დაიწყო.მისასალმებელი სიტყვა იტალიის გაერთიანებული ებრაული თემების პრეზიდენტმა **რენცო ჯატეგანიმ** წარმოთქვა. შემდეგ იყო კონგრესის თავმჯდომარის **დავით როტშილდის, რონალდ ლაუდერის** და **ხაზინადარ ჩელა საფრას** გამოსვლები— მეტწილად ანგარიში განვლილ პერიოდში ჩატარებული სამუშაოს თაობაზე.

რამდენიმე ფრაზა რონალდ ლაუდერის გამოსვლიდან: **,,ბარაკ ობამამ მითხრა, რომ მომავალში, როცა პალესტინის ავტონამია დასვამს მისთვის მნიშვნელოვან ამათუიმ საკითხს და საჭირო გახდება ხმის მიცემა, შეერთებული შტატები მათს წინადადებას მხარს არ დაუჭერს"**

,,...ვესაუბრე აბუ მაზენს, ეგვიპტისა და იორდანიის ლიდერებს. აღნიშნავენ პალესტინის ტერიტორიაზე ორი სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას."

,,...მუსლიმური სახელმწიფოს მებრძოლები, როცა ქრისტიანებს ატყვევებენ,მაჰმადიანობის აღიარებას სთავაზობენ. უარის შემთხვევაში, თავს ჰკვეთენ. უნდა დავფიქრდეთ, რა შეგვიძლია ჩვენ?"

ჩელა საფრას მოხსენება კონგრესის მიერ გაწეულ ხარჯებს შეეხებოდა. კონგრესის წლიური ბიუჯეტი კი ათ მილლიონ დოლარს აჭარბებს.

რობერტ ზინგერი: **,,32 სახელმწიფოში გაიზარდა ტერორისტული აქტების საშიშროება. ამ ხნის განმავლობაში კონგრესის ხელმძღვანელობა 37 სახელმწიფოს ლიდერს შეხვდა. ჩვენი საუბრების უმთავრესი თემა გახლდათ; ანტისემიტიზმი, ებრაელი ხალხის უფლება იცხოვროს ისტორიულ სამშობლოში, ირანის ატომური ამბიციიდან მომდინარე საფრთხე,ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და ა. შ."**

კობი ბენატოფი: **,,ევროპის მოსახლეობის 40% სიონიზმს აგრესიულ ძალად მიიჩნევს"**

პირველსავე სხდომაზე ავსტრალიელი **რობერტ გუტი** მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პოლიტიკური საბჭოს თანათავმჯდომარედ დაამტკიცეს.

ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ცნობილი ქართველი ებრაელი ბიზნესმენის, მეცენატისა და ფილანტროფის, რწმენით არა მოჩვენებითი, ფარისევლური, ჭეშმარიტად ძლიერი პიროვნების, **მიხეილ მირილაშვილის** მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტად არჩევის ფაქტი. ამ აქტით სათანადოდ დაფასდა და გამოიკვეთა მიხეილ (მიხო) მირილაშვილის დიდი ღვაწლი თანამედროვე მსოფლიოს ებრაელთა ცხოვრებაში, ის, თუ რა როლს ასრულებს იგი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. თავად პრეზიდენტი როლანდ ლაუდერი, უკეთ გაცნობის მიზნით, 40 წუთი ესაუბრა მიხეილ მირილაშვილს, როგორც ებრაელ მოღვაწეს და მაღალი შეფასება მისცა ქართველი ებრაელი მეცენატისა და ფილანტროფის მოღვაწეობას.

* *

მმართველთა საბჭოს სესია აღმასკომის სხდომებზე გაიმართა დიდი დისკუსია თანამედროვე ებრაელობისათვის ერთობ მნიშვნელოვან საკითხებზე: ეს გახლავთ სამხედრო კონფლიქტების არეალში მოქცეული მოსახლეობის დადი გადასახლება, ყურადღება გამახვილდა ისლამური სახელმწიფოსაგან მომდინარე საფრთხეზე, სირიელი, ერაყელი და სხვა მუსლიმური სახელმწიფოებიდან ევროპაში გადასახლების შედეგად შექმნილ ახალ რეალობაზე.

(დასასრული მე-7 გვერდზე)

საქართველოში წარმატებით ჩაიარა ისრაელის ქნესეთის სპიკერის იული ედელშტეინის ვიზიტმა

იული ედელშტეინი - ჩვენი, პარლამენტებს შორის ურთიერთობა, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც არის, ვიდრე მთავრობებს შორის

მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, ჩვენი ურთიერთობის კიდევ უფრო გამყარების, თანამშრომლობისა და მეგობრობის საფუძველია - ამის შესახებ ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარემ იული ედელშტეინმა დავით უსუფაშვილთან შეხდრისა და ურთიერთშეთანხმების მემორანდურმზე ხელმოწერის შემდეგ განაცხადა.

ედელშტეინმა ქართველი და ებრაელი ხალხის, ასევე ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება და მას უნიკალური უწოდა.

"ვამყარებთ კონტაქტებს, პრაქტიკული ინიციატივებით გამოვდივართ. მწვანე ქნესეთის, მწვანე პარლამენტის პროექტი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინტეგრაცია – ეს ისრაელის პარლამენტის პროექტია, მაგრამ ამავდროულად, მინდა ვახსენო საქართველოს პარლამენტის ის დიდი მიღწევა, რომელიც მან ღიაობის თვალსაზრისით მოიპოვა. ჩვენ ვცდილობთ ღიაობას, მაგრამ უფრო მეტად კრიტიკას ვიმსახურებთ და ალბათ, თუ რაღაც პრიზს მივიღებთ ამ მხრივ, თქვენი დამსახურება იქნება, რომ გაგვიზიარებთ გამოცდილებას ამ კუთხით. ჩვენი პარლამენტებს შორის ურთიერთობა შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც არის, ვიდრე ურთიერთობა მთავრობებს შორის, რადგან პარლამენტი არის ხალხის წარმომადგენლობა და ეს არის რეალური ბაზისი მთავრობის. მე მაქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება იმ მხრივ, რომ რამდენიმე მინისტრი მიდის, მოდის, ინიშნება, ტოვებს ადგილს, მაგრამ პარლამენტი არის წარმომადგენლობითი ორგანო და ეს მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, ვფიქრობ, არის საფუძველი ჩვენი ურთიერთობის კიდევ უფრო გამყარების, არაჩვეულებრივი ურთიერთობის, თანამშრომლობის, მეგობრობის", - განაცხადა ედელშეტეინმა.

იული ედელშტეინი თბილისს სამდღიანი ვიზიტით ეწვია. დღესვე, ისრაელის სახელმწიფოს ქნესეთის თავმჯდომარე პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილსა და საქართველოს კათოლიკოს-პარტიარქს ილია მეორეს შეხდება. 6 ნოემბერს დაგეგმილია შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში ღონისძიება გაიმართება. იული ედელშტეინი თბილისს 8 ნოემბერს დატოვებს.

იული ედელშტეინი - საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ არის სამაგალითო ქვეყანა ეთნიკური ტოლერანტობის თვალსაზრისით

საქართველოს და ისრაელს აქვთ საერთო პრობლემები, იქნება ეს ირანი თუ რუსეთის ყოფნა სირიაში. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე ისრაელის ქნესეთის სპიკერმა იული ედელშტეინმა განაცხადა.

როგორც ედელშტეინმა აღნიშნა, ის საქართველოში მანამდე იმყოფებოდა, 2008 წლის ომის შემდეგ და ასევე, 2012 წელს, უკვე დიასპორის მინისტრის რანგში; ხოლო პარლამენტის სპიკერის ვიზიტი საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში ისრაელის ოფიციალური პირის ყველაზე მაღალი დონის ვიზიტია.

"საქართველოსა და ისრაელს შორის ცუდი ურთიერთობა არასდროს ყოფილა. თუმცა, ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ღრმავდება, რაც მისასალმებელია. ჩემი ვიზიტის განმავლობაში მქონდა შეხვედრები პრეზიდენტთან, პრემიერთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და ჩემს ვიზავისთან პარლამენტის თავმჯდომარესთან, რომელთანაც ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. მოხარული ვიყავი გამეგო, რომ საქართველოს პარლამენტმა დაიმსახურა პრიზი ღია მმართველობის კონტექსტში. გარდა ამისა, მქონდა შეხვედრა პრემიერთან, სადაც ვისაუბრეთ გამოწვევებზე როგორც ისრაელის, ისე საქართველოს რეგიონში. აღმოჩნდა და ეს ცხადიც იყო, რომ ჩვენ გვაქვს საერთო გამოწვევები, იქნება ეს ირანი თუ რუსეთის ჯარების ყოფნა სირიაში", - განაცხადა ედელშტეინმა.

მისივე თქმით, ეს საკითხები განხილული იქნა პრეზიდენტთან შეხვედრაზეც. იგი მიესალმა ისრაელის ვიზების გაუქმებას საქართველოს მოქალაქეებისთვის. აღნიშნა, რომ ამან ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა გაზარდა.

ისრაელის ქნესეთის სპიკერის თქმით, ყველა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს ოფიციალურ პირებთან გაიმართა, აღინიშნა ებრაელთა თემის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში. მან ასევე ხაზი გაუსვა საქართველოს პატრიარქთან ემოციურ შეხვედრას.

"ასეთ ადამიანთან შეხვედრისას ხვდები, თუ როგორი უნდა იყოს ლიდერი, რომ არსებობდეს ასეთი შესანიშნავი ურთიერთობები, ორი რელიგიის, ორი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს შორის, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდსაც ანტისემიტიზმი იზრდება, მათ შორის დემოკრატიულ ევროპულ ქვეყნებშიც კი", - განაცხადა ედელშტეინმა და დასძინა, რომ საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ არის სამაგალითო ქვეყანა ეთნიკური ტოლერანტობის თვალსაზრისით.

ილია მეორე ისრაელის პარლამენტის სპიკერს: - ჩვენ ერთი ბედი გვაქვს, ამიტომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ

— თქვენ ნამდვილ სულიერ ლიდერს განასახიერებთ, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიყავს მშვიდობისა და ურთიერთგაგების გზით ძალადობის წინააღმდეგ, - განაცხადა საქართველოს საპატრიარქოში ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარემ, იული ედელშტეინმა პატრიარქთან საუბრისას.

საპატრიარქოში ილია მეორემ ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის უძველეს მეგობრულ ურთიერთობაზე, კულტურასა და ისტორიაზე ისაუბრეს.

საქართველოს პატრიარქმა საუბრის დასაწყისში აღნიშნა, რომ ისრაელთან საქართველოს ურთიერთობა ათასწლეულებს მოიცავს და ქრისტეს შობამდე დაიწყო. პატრიარქის თქმით, საქართველოში ებრაელებმა წმინდა წინასწარმეტყველის ილიას სამოსი ჩამოაბრძანეს, თან - ასევე რწმენა ღვთისადმი. უწმინდესის თქმით, საქართველოში ანტისემიტიზმი არასდროს ყოფილა.

"საჭიროა, ითქვას, რომ თქვენი კულტურა, ჩვენი ისტორია ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ბოლო წლებში ებრაელები დაბრუნდნენ წმინდა მიწაზე და საქართველომ ხელი შეუწყო მათ, წასულიყვნენ. ებრაული კულტურა ჩვენთვის ახლობელია. მე მივესალმები თქვენ თანმხლებ პირებს და ვისურვებ, რომ მათ უკეთ გაიცნონ საქართველო. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენი ვიზიტი საქართველოში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნებს შორის კიდევ უფრო დაახლოებისათვის. ჩვენ ერთი ბედი გვაქვს, ამიტომ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ", - აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა ებრაელებმა ისრაელში დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნეს თბილი ურთიერთობები საქართველოსთან.

თავის მხრივ, ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე იული ედელშტეინმა მადლობა გადაუხადა პატრიარქს მიღებისთვის და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, დიპლომატიური ურთიერთობებით არ ამოიწურება.

ქნესეთის თავმჯდომარემ საუბრისას აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ორივე მხარისთვის მომგებიანია და ასეთი ურთიერთობებისაგან არც ერთი მხარე წაგებული არ დარჩება. მან ისაუბრა ეკონომიკურ, კულტურულ ურთიერთობებზე და გამოცდილების გაზიარების შესახებ.

"მინდა აღვნიშნო, რომ თქვენი სახელი ბევრისთვის არის ცნობილი საქართველოს საზღვრებს გარეთაც. ხანდახან თანამედროვე მსოფლიოში საუბრობენ სულიერი ლიდერების ნაკლებობაზე. თქვენ ნამდვილად სულიერ ლიდერს განასახიერებთ, რომელსაც მილიონობით ადამიანი მიყავს მშვიდობისა და ურთიერთგაგების გზით ძალადობის წინააღმდეგ. მინდა, აღვნიშნო, რომ ანტისემიტიზმი საქართველოში პრაქტიკულად არ იციან. ამას აქვს მიზეზები. ეს არის ლიდერების, მათ შორის სულიერი ლიდერების სწორი მიდგომის შედეგი. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალშიც საქართველოში შენარჩუნდება ასეთი დამოკიდებულება ებრაული საზოგადოებისა და რელიგიის მიმართ", - განაცხადა იული ედელშტეინმა.

მისივე თქმით, ებრაელებს მოუწიათ ისრაელში დაბრუნება იმიტომ, რომ იდევნებოდნენ. საქართველოს შემთხვევაში კი სხვაგვარად იყო. ისინი საქართველოდან წავიდნენ და დარჩნენ საქართველოს პატრიოტებად, წავიდნენ იმის გამო, რომ სურდათ საკუთარ სამშობლოში დაბრუნება. მისივე განცხადებით, საქართველოდან წასული ებრაული საზოგადოება არის მეგობრობის დიდი ხიდი ორ ქვეყანას შორის. მან მადლობა გადაუხადა პატრიარქს, რომ ასეთი სულიერი ლიდერია, რომლისგანაც მაგალითის აღება სურთ.

"ხუმრობით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს თანამშრომლებს განსაკუთრებით "არ უყვართ", როდესაც მათ ეუბნებიან ისრაელში საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის სტუმრობის შესახებ. მათ წარმოდგენა არა აქვთ, ჩემმა არც თუ დიდმა ოფისმა როგორ შეიძლება მოიწვიოს საქართველოდან წამოსული ადამიანები, რომელთაც სურთ, აუცილებლად დაესწრონ ამ შეხვედრას. ეს ნამდვილად არ არის ხოლმე იოლი და ბევრი გულდაწყვეტილი რჩება. ამას ვამბობ ძალიან თბილი გულითა და დიდი ღიმილით. ეს არც ერთ სხვა ქვეყნის შემთხვევაში არ ხდება. მადლობა ღმერთს, ხშირია ვიზიტები და როგორც თქვენ თქვით, თბილი ურთიერთობები ძალიან ბევრმა შეინარჩუნა. მათ სურთ ნახონ პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე, რადგან ისინი მათ თავიანთ წარმომადგენლებად მიაჩნიათ", - აღნიშნა საუბრის ბოლოს ქნესეთის თავმჯდომარემ.

ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარე და დეპუტატები თბილისის ისრაელის სახლში პრეზენტაციას დაესწრნენ

ისრაელის პარლამენტის ქნესეთის თავმჯდომარე და დეპუტატები დღეს თბილისის ისრაელის სახლში პრეზენტაციას დაესწრნენ.

ქნესეთის დელეგაციის წარმომადგენლებს საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის პრეზიდენტმა, ისრაელის სახლის დამფუძნებელმა იციკ მოშემ უმასპინძლა. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ისრაელის სახლის მიერ 2 წლის განმავლობაში განხორციელებული მუშაობის შედეგი. ქნესეთის თავმჯდომარეს იციკ მოშემ ისრაელის სახლის მიერ მომზადებული კონცეფცია გააცნო.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას იციკ მოშემ განაცხადა, ისრაელის სახლის მიერ მომზადებული კონცეფცია საერთაშორისო ასპარეზზე და უპირველეს ყოვლისა მეგობარ ქვეყნებში ისრაელისადმი სოლიდარობის გაძლიერებას და ორმხრივი პირდაპირი თანამშრომლობის გააქტიურებას ითვალისწინებს. კერძოდ, ეს იქნება ისრაელის ოფიციალური პოლიტიკის ახსნა-განმარტება და თანამშრომლობა ქვეყნებთან ურთიერთობაში ისრაელისთვისაც იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელსაც დღეიდან სახელმწიფო შექმნის და ისრაელის ხელისუფლება ატარებს.

"ისრაელის კონცეფცია ეს არის პროდუქტი, რომელიც ისრაელის ქნესეთთან ერთად შეიქმნა და გვჯერა, რომ ასეთი კონცეფციით წარმომადგენლობა გაიხსნება ბალტიისპირეთშიც. ეს იქნება ისრაელის მთავრობის (ჰასბარა) ახსნა-განმარტება და კავშირების ყველაზე ოპტიმალური მოდელი მეგობარ ქვეყნებთან", - აღნიშნა იციკ მოშემ.

მისივე თქმით, 25 წლის წინ ისრაელის წარმომადგენლობა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის პირველად საქართველოში გაიხსნა. ეს ისტორია მეორდება დღესაც. ისრაელის სახლის მოდელი გაიხსნა საქართველოში, ხოლო მომავალ წელს იგეგმება ბალტიისპირეთში, შემდგომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

საქართველოს შეუძლია იამაყოს: ის არის სამაგალითო ქვეყანა ეთნიკური მეგობრობისა და ტოლერანტობის თვალსაზრისით

(ისრაელის პარლამენტის სპიკერის პრეს-კონფერენცია)

ისრაელის პარლამენტის სპიკერმა საქართველოში ისრაელის საელჩოში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა.

იული ედელშტეინი — დიდი მადლობა მობრძანებისათვის. დიდი მადლობა ისრაელის საელჩოს, რომ აქ გვაქვს პრესკონფერენცია. ეს არ არის ჩემი პირველი ვიზიტი საქართველოში. თუმცა, მნიშვნელოვანია ის, რომ ცოტა განსხვავებული გამოცდილება შევიძინეთ ამ ვიზიტიდან. ქნესეთის წევრებთან ერთად საქართველოში ვიმყოფებოდი ომის შემდეგ (იგულისხმება 2008 წლის ომი. რედ.), ასევე ვიმყოფებოდი აქ დიასპორის მინისტრის რანგში 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც ბატონი ელჩი ახალი დანიშნული იყო. ბევრი რამ შეიცვალა, უფრო გაღრმავდა ურთიერთობა. მინდა აღვნიშნო, რომ ცუდი ურთიერთობა საქართველოსა და ისრაელს არასოდეს ჰქონიათ, მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ეს ურთიერთობა უფრო და უფრო ღრმავდება და ეს ტენდენცია მხოლოდ მისასალმებელია.

ამ დღენახევრის განმავლობაში, რომლის დროსაც მე ვიმყოფები საქართველოში, შევხვდით საქართველოს მაღალი რანგის ოფიციალურ პირებს--პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი. რასაკვირველია, მქონდა ვიზიტი საქართველოს პარლამენტის სპიკერთან, რომელთანაც განვიხილეთ პრაქტიკული თანამშრომლობის საკითხები, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ასევე სასიხარულო იყო რაც მოვისმინე ბატონი სპიკერისაგან ის, რომ საქართველოს პარლამენტი ღიაობის თვალსაზრისით, აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესო პარლამენტად. განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი მასთან. პრემიერ მინისტრთან ვისაუბრეთ იმ გამოწვევებზე, რომლებიც არსებობს რეგიონში. ვგულისხმობ კავკასიაში, ისრაელში, ახლო აღმოსავლეთში არსებულ გამოწვევებს. აღმოჩნდა და ეს ისედაც ცხადი იყო, რომ ჩვენ გვაქვს საერთო გამოწვევებიც, იქნება ეს ირანი, თუ რუსეთის ჯარების ყოფნა სირიაში. იგივე შეიძლება ითქვას შეხვედრებზე პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან. თუნდაც ის ფაქტი, რომ ისრაელმა არცთუ ისე დიდი ხნის წინთ გააუქმა სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეებისათვის, ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანია, შეინიშნება ზრდა ტურიზმის სფეროში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ტურისტები ჩამოდიან ისრაელიდან საქართველოში. აი, მიმდინარე წლის განმავლობაში 60 000 ტურისტი იმყოფებოდა ისრაელიდან საქართველოში, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია. იმედია, ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება კიდევ უფრო გაიზრდება სხვა მაჩვენებლები სხვა სფეროებშიც.

მთელი ამ შეხვედრების განმავლობაში, რომელიც ჩვენ გვქონდა ამჟამინდელი ვიზიტის დროს, ყველა ქართველი ლიდერი აღნიშნავდა ებრაული თემის მნიშვნელობას ორი ქვეყნის ურთიერთობის თვალსაზრისით და ამით ხსნიდა დიდწილად ორ ქვეყანას შორის არსებულ კარგ ურთიერთობას. ის ფაქტი, რომ 26 საუკუნის განმავლობაში აქ ებრაული თემი ცხოვრობდა ეს არის გარკვეულწილად ხიდი, რომელსაც ეყრდნობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. ძალიან ემოციური შეხვედრა გვქონდა საქართველოს პატრიარქთან, ილია მეორესთან. მასთან შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ურთიერთობა, შესანიშნავი ურთიერთობა ორი რელიგიის, ორი ეთნიკური კუთვნილების მქონე ადამიანებს შორის განსაკუთრებით იმ პერიოდში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მაშინ როდესაც ეთნიკური დაძაბულობა, ანტისემიტიზმი იზრდება; მათ შორის ძალიან ბევრ დემოკრატიულ ევროპულ ქვეყანაში. საქართველოს შეუძლია იამაყოს იმით, რომ ის არის სამაგალითო ქვეყანა ეთნიკური მეგობრობისა და ეთნიკური ტოლერანტობის თვალსაზრისით. ძალიან ბუნებრივი ურთიერთობა არსებობს საქართველოში მცხოვრებ ებრაელებსა და ქართველებს შორის ისევე როგორც იმ ადამიანებს შორის, რომლებმაც გადაწყვიტეს, წასულიყვნენ ისრაელში საცხოვრებლად და ინარჩუნებენ ურთიერთობას როგორც ქართველ მეგობრებთან, ასევე ინტეგრაცია მოახდინეს ისრაელის საზოგადოებაში.

ტელეკომპანია „მაესტრო“ - რამდენად არის „აისისი“ საშიში საქართველოსთვის?

იული ედელშტეინი - რადიკალური ისლამი არის ძალიან სახიფათო არა მხოლოდ საქართველოსთვის, მთელი მსოფლიოსთვის. შეხედეთ, რა მოხდა იგივე საფრანგეთში, ძალიან ბევრი შემთხვევის ჩამოთვლა შეიძლება როდესაც რადიკალური ისლამი არის სახიფათო ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის და ისეთი სახელმწიფოებისათვის, როგორიც არის, მაგალითად, იგივე საფრანგეთი იქნება თუ ნებისმიერი სხვა ქვეყანა. ძალიან რთულია დამარცხება ასეთი რადიკალური ისლამის და ასეთი დაჯგუფებების, მაგრამ ასევე უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ „აისისი“ არ არის ერთადერთი სახიფათო ორგანიზაცია, დაწესებულება, დაჯგუფება თუ ასე შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი ვიდეოები ვრცელდება, რასაც აკეთებს „აისისი“. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ არის კიდევ სხვა დაჯგუფებები, რომლებიც თითქოს ერთი შეხედვით, ნაკლებად აშუქებენ თავიანთ საქმიანობას, მაგრამ გადახედეთ ინტერნეტს და შეგიძლიათ ნახოთ, რომ „ჰამასი“, „ჰიზობლა“ თავიანთი ქმედებებით არაფრით ჩამოუვარდებიან იგივე „აისისის“. მაგალითად, როგორ, უკაცრავად ასეთი უხეში სიტყვისთვის, „ათრევენ“, იმ ადამიანების გვამებს, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ კოლაბორაციონისტებად და ის ფაქტი, რომ ვთქვათ ის ადამიანები, ვისაც ასე ექცევიან სიცოცხლეში, თუ სიკვდილის შემდეგ არ არიან ევროპელები არ ცვლის იმ საშინელებას, რომელსაც ჩადიან იგივე „ჰიზბალა“ და „ჰამასი“. რომც დამარცხდეს „აისისი“ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის საბოლოო გამარჯვება. მაგალითად, „ალქაიდა“ აღარ არსებობს როგორც ასეთი დაჯგუფება, მაგრამ „ალქაიდას“ ნაცვლად არის „აისისი“, არის „ჰიზბოლა“, არის „ჰამასი“. ესენი ყველა რომ დამარცხდეს სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული, რომ ხვალ ან ზეგ წარმოიქმნას ახალი დაჯგუფებები, რომლებიც ძალიან სამწუხაროა, მაგრამ იქნებიან ტერორისტული დაჯგუფებები და მერე მათ წინააღმდეგ მოგვიწევს ბრძოლა.

გაბრიელ ნამთალაშვილი (გაზეთი „26 ვეკოვ“): მასმედიაში ისრაელში ტერორის შესახებ არასწორი აქცენტები კეთდება, ინტერნეტ სივრციდან ინფორმაციის მხოლოდ გადმოქაჩვა ხდება. ეს სერიოზული პრობლემაა. სერიოზული პრობლემაა ასევე ისიც, თუ როგორ გამოხმაურებას პოვებს ყოველივე გაეროში. რა საშუალებები აქვს ისრაელს ამ პრობლემასთან აქტიურად და შედეგიანად საბრძოლველად?

იული ედელშტეინი: მე მგონია, რომ აქ არსებობს ორი პრობლემა. პირველი პრობლემაა თუ როგორ ვებრძოლოთ ტერორიზმს. ამ ბოლო დროს ისრაელი საკმაოდ წინ წავიდა როგორც ტექნოლოგიების განვითარებაში, ასევე სხვა მოქმედი საშუალებებით, რომლებიც დღეს არსებობს თანამედროვე მსოფლიოში. როდესაც არსებობს „ჰიზბოლა“ თითქმის როგორც ნახევრად სახელმწიფო მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. მათ კარგად ესმით, რომ თუ ისინი ამზადებენ შეტევებს, ტერაქტებს მათ უთვალთვალებენ და გარკვეულ ინფორმაციას სამინისტრო მათ შესახებ ფლობს. პარადოქსია, მაგრამ უფრო მეტად რთულია გაუმკლავდე 15 წლის მოზარდს, რომელსაც საძინებელში ფეისბუქიდან გიჟური ნაკადით მოსდის საშინელი ინფორმაცია და მოქმედებს მის ფსიქოლოგიაზე. მე არ გავიმეორებ ინფორმაციებს, რომელსაც უყვებიან ისრაელზე, ისრაელის ჯარისკაცებზე, რა თქმა უნდა, მას აქვს ჩვეულებრივი რეაქცია. მას უჩნდება სურვილი შევიდეს სამზარეულოში აიღოს რაც შეიძლება დიდი დანა, წავიდეს და დაარტყას 70 წლია ქალბატონს ან დედა-შვილს. მე ამ ბოლოდროინდელ კონკრეტულ მაგალითებს გიყვებით. მიუხედავად ამისა, ამ პრობლემას ბოლო დროს ვუმკლავდებით. ბოლო მცდელობები ტერაქტებისა ძირითადად მოდის ჯარისკაცებზე, პოლიციელებზე, ან ბავშვებზე. ბევრი ტერაქტი აღკვეთილ იქნა მესაზღვრეებზე. ეს რაც შეეხება პირველ პრობლემას.

მეორე პრობლემა, რასაც თქვენ შეეხეთ, არის ის, თუ როგორ შუქდება მასმედიაში და აქ მე ვიქნები ძალიან ხისტი. ეს არ არის მარტო ისრაელის პრობლემა. როდესაც მე ვხედავ ანგარიშებს მსოფლიოში საკმაოდ პატივსაცემი კომპანიებისა, რომლებიც ჩემთვის ჯერ კიდევ ჩემი დისიდენტობის დროს საბჭოთა კავშირში წარმოადგენდნენ მზის სხივს ბნელ სამეფოში, ობიექტური ინფორმაციის წყაროს, დემოკრატიის ერთგულ მებაირახტრეს და ა.შ. ამის შემდეგ ხდება კონკრეტული მაგალითი, როდესაც ორი ტერორისტი დაეცემა ოჯახს, დანას გაუყრიან და კლავენ სანამ მათ ხალხი არ დახოცავს. ყოველივეს შემდეგ ანგარიშში წერია, რომ ორი ისრაელელი და ორი პალესტინელი შეჯახებაში დაიღუპნენ. ჩვენ ამას განვიხილავთ, როგორც ისრაელის პრობლემას. მე ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა უფრო გლობალურია. შესაძლებელია, ვიკამათოთ სხვადასხვა საკითხზე, გვქონდეს განსხვავებული აზრი - ეს ლეგიტიმურია. ყველა ქვეყანა არ არის საუკუნოდ მეგობარი. შესაძლებელია მათ შორის იყოს გარკვეული უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ უნდა გავითავისოთ, რომ არსებობს ერთი საერთო მტერი და უნდა ვებრძოლოთ დემოკრატიული მეთოდებით. უნდა გავითავისოთ, რომ არ არსებობს ჩვენი და სხვისი ტერორისტები. სანამ ყველა არ მიხვდება, რომ ტერორიზმი არის ერთი დიდი საყოველთაო პრობლემა.

მარინე ვასაძე (გაზეთი „მენორა“): რას გვეტყვით ქართველი ებრაელების როლზე თანამედროვე ისრაელის ცხოვრებაში?

იული ედელშტეინი: ყველა შეხვედრაზე მე ვსაუბრობ ამ თემაზე და ჩემი მეგობრებიც ამბობენ იმას, რომ პლატფორმა ასეთი ურთიერთობისათვის სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ, ჩვენ ორ ქვეყანას შორის, იყო ებრაულ-ქართული, ქართულ-ებრაული სათვისტომოების ურთიერთობა ისრაელში. ეს ის ხალხია, რომელიც იმიტომ კი არ ამოვიდა ისრაელში, რომ საქართველო სძულდათ ან საშიშროების წინაშე იდგნენ, ეს ის ხალხია, რომელმაც დაიწყო ურთიერთობების აღდგენა - ეს იყო პლატფორმა ურთიერთობების აღდგენისა.

მეორეც, ეს არ არის საიდუმლო. იყო წლები, როცა როგორც ყველა ტალღას ემიგრაციისა ახალ ქვეყანაში, ასევე ისრაელშიც ჰქონდა იმიჯის პრობლემა, ამათში იგულისხმება ქართველი ებრაელების წარმომადგენლებიც. მაგრამ ყველა ეს პრობლემა წარსულს ჩაბარდა; ქართველ ებრაელებს ვხედავთ როგორც პარლამენტში, ასევე მერებსა და ვიცე მერთა შორის, ქალაქის გამგეობებში, მეცნიერებასა და მედიცინაში. უამრავი წარმომადგენელია ჯარში, ანუ ყველა მნიშვნელოვან რგოლში ისრაელისა. ვფიქრობ, რომ ეს კანონზომიერი პროცესია. ამ მომენტში მე არც კი ვფიქრობ, რომ შემიძლია გავმიჯნო ქართველი ებრაელები სხვა წარმომადგენლებისაგან. ახლა რომ დავიწყო რამდენი ქართველი ებრაელი მუშაობს ჩემთან, ქნესეთში, მე მხედველობაში მყავს არა დეპუტატები, არამედ აპარატში მომუშავე პერსონალი, შორს წავალთ. ასე რომ ამ კუთხით გავიარეთ ინტეგრაცია და ხაზგასმით ვიტყვი, რომ მათ დიდი როლი შეასრულეს ჩვენ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში.

მარინე ვასაძე: ამბობენ, რომ 1948 წელს სიონისტებმა შექმნეს ისრაელის სახელმწიფოებრიობა. ხომ არ მიგაჩნიათ რომ ეს შეცდომაა და რომ ისრაელის სახელმწიფოებრიობა ითვლის არა 67 წელს, არამედ არსებობიდან 30 საუკუნოვან ისტორიას?

იული ედელშტეინი: გეთანხმებით. ჩვენ არ ვმალავთ და ვამაყობთ იმით, რომ დიახ, 29 ნოემბერს 1947 წლისა იქნა მიღებული გაეროს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ისრაელის სახელმწიფო უნდა შექმნილიყო და 1948 წლის 14 მაისს ეს ასე მოხდა კიდეც და ჩვენ ამას არ ვმალავთ და ჩვენ ვამაყობთ კიდეც, რომ აი, ეს იყო თარიღი. მაგრამ რასაკვირველია, რასაც თქვენ ამბობთ, ეს არის უდავოდ მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ არსებობს საფრთხე იმისა, რომ დაისვას ერთი კითხვა კონკრეტულად კი ჰოლოკოსტის საერთაშორისო დღეს, ანდაც აუშვიცისგან განთავისუფლების დღეს ისმის ხშირად ასეთი ფრაზები, რომ აი, ჰოლოკოსტის შემდეგ მსოფლიო მიხვდა, რომ ებრაელებს უნდა ჰქონოდათ სამშობლო და სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა სახელმწიფო ისრაელი და ამასთან დაკავშირებით სხვათა შორის ბევრი სვამს კითხვას - რატომ მაინცდამაინც პალესტინაში? რატომ იმ ადგილას, რომელიც უკვე ასე მჭიდროდ არის დასახლებული ადამიანებით. რატომ არა არგენტინაში,ან ბრაზილიაში, სადაც დიდი ტერიტორიებია და პრაქტიკულად არ არის დასახლებული ადგილები. რატომ არა იქ?! აი, ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ორი რამ: დიახ, ისრაელი არის ძალიან დიდი მადლობელი საერთაშორისო საზოგადოებრიობისა, რომელმაც მისცა მსოფლიოს, გაეროს საშუალება, რომ მიღებულიყო ის გადაწყვეტილება, რომელიც იყო მიღებული. და მეორე: ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ეს არ იყო შანსი, ჰაერიდან მოტანილი გადაწყვეტილება, რომ სწორედ ისრაელი უნდა ყოფილიყო იქ, სადაც არის დღეს. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან დაიწყეს ემიგრანტებმა ჩასვლა ისრაელის ტერიტორიაზე, დღევანდელი ისრაელის, ახლა სახელმწიფო ისრაელის ტერიტორიაზე როგორც ვიცნობთ. სიონიზმის შესახებ გსმენიათ ნამდვილად და ასევე აღსანიშნავია ის, რომ ამ ტერიტორიაზე ებრაელები ცხოვრობდნენ ყოველთვის. მათ შორის მაშინაც, როდესაც ოფიციალურად არ არსებობდა სახელმწიფო ისრაელი. და ეს ორი რამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. მადლობელი ვართ, რომ ისრაელი შეიქმნა როცა შეიქმნა - 1948 წელს საერთაშორისო საზოგადოებისათვის ოფიციალურად და დოკუმენტალურად, მაგრამ ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს შემთხვევით და ჰაერიდან მოტანილი არ არის, რომ დღეს იმ ტერიტორიაზე არსებობს ისრაელის სახელმწიფო.

ლევ სამოვსკი (ებრაული გაზეთის „შალომი“ რედაქტორი. ევროპის ებრაელთა პარლამენტის დეპუტატი):

ბადრი პატარკაციშვილი 60 წლის გახდებოდა

შინაური უცხო?

(ფიქრები ბ. პატარკაციშვილის დაბადების დღეს - 31 ოქტომბერს)

გარდასულმა დრომ ერთი დიდი გამოცდილება დაუტოვა ებრაელობას: სიფრთხილე მუდამ თან უნდა გდევდეს, სიყვარულსა და სიძულვილს შორის არც თუ დიდი მანძილია და რაოდენ კარგადაც არ უნდა იყოს საქმე, ამ სიყვარულის, მეგობრული ურთიერთობის წამლეკავნი მაშინ გამოდიან მზის სინათლეზე, როცა ამის აუცილებლობას დაინახავენ, მანამდე კი უხმოდ სხედან.

ბადრი პატარკაციშვილი, ჩვეულებრივ ებრაულ ოჯახში, ებრაელთა შორის აღზრდილი გახლდათ. ებრაულ დღესასწაულებზე, ალბათ, ისევე დადიოდა ბეით-ქნესეთში, როგორც მისი ტოლი, უბნელი ბიჭები. წამოიზარდა და თავის ქვეყანაზე შეყვარებულ თბილისელ კაცად ჩამოყალიბდა. მასში იმდენად ძლიერი იყო ქართულ სამყაროსთან, ქართულ სულიერებასთან იდენტიფიკაცია, რომ სხვად ვერც წარმოედგინა თავი. ქართული სახელმწიფოებრიობის ერთგული გახლდათ ისე, როგორც, ქართველ ებრაელთა მაქსიმალური უმეტესობა, ქართული შემეცნების მატარებელიც. მეგობარ-ამხანაგები ქართველებიც ჰყავდა, მეუღლეც ჩინებული ქართველი ქალი. თუმცა, ამის გამო ებრაულ სამყაროსთან სულაც არ გაუწყვეტია კავშირი - პირიქით, არა მხოლოდ სიახლოვე ჰქონდა მასთან - ჭირსა და ლხინში გვერდით ედგა. რამდენი სიკეთე გაუკეთებია ებრაული თემის, მისი ღირსების ამაღლებისათვის. მასში, ისე როგორც ბევრი ქართველი ებრაელის სულში, ქართული ზარიც რეკდა და - ებრაულიც. ერთი სიტყვით, ის მინდა ვთქვა, რომ ქართულ-ებრაული სულისკვეთების, მსოფლგანცდის კაცად ჩამოყალიბდა. ამან და კიდევ იმან, რომ ძალიც მოსდევდა, ათქმევინა პატიოსანი ქართველი კაცის სათქმელი ფრაზა: „საქართველოს მოაჯამაგირედ მიგულეთ“.

არაფერი გასაკვირი არ არის, თუ ასეთი სულისკვეთების ადამიანი საქართველოს პრეზიდენტობაზე იფიქრებს. მე პირადად მისი ეს გადაწყვეტილება არასწორად მიმაჩნდა და მიმაჩნია, მასთან ახლობლობა რომ მქონოდა, უსათუოდ შევახსენებდი დიდ ებრაელთა მაგალითებს, რომლებიც თავს არიდებდნენ ასეთ ნაბიჯს, მაგრამ იგი თავისი რწმენით მოქმედებდა. მართლაცდა, თუ შენ ამ ქვეყნის შვილი ხარ, მისი სისხლი და ხორცი, რატომ უნდა იყოს უცნაური პირველი პირობისთვის ბრძოლა, მითუმეტეს, ყველა ხედავს, რომ პირველ პირად გახდომა მიუწვდომლის მისაწვდომად კი არ გვჭირდება (მას პრეზიდენტზე მეტი აქვს, ფლობს უამრავ ქონებას, თან თავისუფალია, ხალხის წინაშე მოვალეობა არ აკისრია), არამედ იმისთვის, რომ ქვეყანას წაადგე, რასაც ფლობ, იმის გონივრული გამოყენებით ხალხი უკეთეს დღეს სწიო. ე. ი. ნებაყოფლობით იდგამ იმ უღელს, რომლის სიმძიმემაც შესაძლოა, გაგსრისოს. უკეთეს, გამარჯვების შემთხვევაში, კი, შესაძლოა, გერგოს რამდენიმე სტრიქონი საქართველოს ისტორიაში.

და თუ შენ ამ ქვეყნის მოჯამაგირეობის სურვილით ცხოვრობ, თუ გწადია უმდიდრესი კაცის ტახტი ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობის ქვეყნის ბედის გამგებლის უმძიმეს უღელზე გაცვალო, რატომ უნდა იყოს ეს სააუგო სახსენებელი?

იგი საქართველოს მოჯამაგირეობას პრეზიდენტობით ეპირებოდა.

დაუჯერებელი დაიჯერა და შეცდა? მეტისმეტად ირწმუნა ის, რაც არ უნდა ერწმუნა?

და კაცს, რომელიც ამ მიწაზე 26 საუკუნეა ცხოვრობს, შესძახეს, მეხსიერებამ გიღალატა, შენ ჩვენი არა ხარ! (არადა, ქართული სულისკვეთებისა იყო, იმათი კი მართლაც არ იყო) თუ შენ დაგავიწყდა, რომ უცხო ხარ, ჩვენ გვახსოვსო.

და თბილისის უბნებში, ამა თუ იმ ქალაქში საარჩევნო კამპანიის დღეებში ხალხს შეახსენებდნენ, რომ არჩევანი უნდა გააკეთონ ძირძველსა და უცხოს შორის, რომ ამ მიწაზე, ამ ქვეყანაში მოსული კი არ უნდა იყოს პირველი პირი, არამედ ამ მიწის მკვიდრი.

მას კი ამ მიწის ჭეშმარიტ მკვიდრად მიაჩნდა თავი.

არის ერთი გნიასი, ნერვიული შეძახილები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამაოდ დავმშვრალვართ, სულ ტყული ყოფილა ქება 26 საუკუნოვანი თანაცხოვრებისა. თუ ესენი, ჩვენი დროის ქართველი დიდებულნი, მიიჩნევენ, რომ მე მხოლოდ ლაპარაკის უფლება მაქვს და როგორც კი მოვიქცევი ვით ყოველი ჩვეულებრივი თანამედროვე პიროვნება, შემძახებენ:

- ციც, შენ ამის უფლება არა გაქვს!
- შენ უცხო ხარ!
- ისევ იქ დაბრუნდი, საიდანაც მოხველ!

ამაო ყოფილა ყველაფერი.

თბილისის ქუჩებში გინებაც კი ისმის.

გინება, როგორც მოწოდება, ლოზუნგი.

იგინებიან საჯაროდ, სახალხოდ... ომახიანად, ხმაშეწყობილად: „ბადრის რა? დედის ... “

სწორედ ეს გინება, გამოვლენილი უხამსობა გახლავთ შვების მომგვრელი, პარადოქსია: გინება გულს ეამება, რადგან ხედავ: ეს არ არის ქართველი ხალხის სიტყვა. ამ უხამსობას ქართველი ხალხი კი არ შესძახებს ბადრი პატარკაციშვილს, არამედ პარტია, პარტიის დასაწინაურებელი, ცხოვრების მოწყობას, ხალხზე გამგებლობას მოწადინებული პარტიის შვილები, საშუალო თუ საშუალოზე დაბალი ნიჭის წევრები ამ პარტიისა. მათ სხვა არაფერი ძალუძთ. მათ მხოლოდ გინება ძალუძთ, ესენი გინებით უნდა ამაღლდნენ, ესენი ხალხს როზგავენ, ცხვირ-პირს ამტვრევენ, საღამოს კი გამარჯვებული გენერლებივით დააბიჯებენ ქუჩებში, ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან, ულოცავენ ადამიანების დათრგუნვას. ბათუმის განმათავისუფლებელი გენერალი მაზნიაშვილი არ დადიოდა ისე წელგამართული, ამაყი კაცის ნაბიჯებით, როგორც ესენი - პარტიის დასაწინაურებელი გასაძღომი წევრები.

არა, ეს არ არის ქართველი ხალხი, ეს პარტიაა!

თუმცა, ვერც პარტიაზე იტყვი ამას. ამ პარტიაში ბევრი წესიერი, ქართული კდემამოსილებით, ზრდილობითა და ოჯახისშვილობით აღვსილი ადამიანი ვიცი. - რა ჰქნან, ცხოვრებას რა უყონ - პარტიის ამ წევრებს თავიანთი გეგმები აქვთ: ადამიანმა ცხოვრება ხომ უნდა მოიწყოს, ამათ კი ამ გზით - გინებით - სურთ მისწვდნენ უზრუნველ ცხოვრებას.

მრავალი საშინელი ეპიზოდი მინახავს ეკრანსა თუ სცენაზე. ეს ეპიზოდი ერთ-ერთი იმათგანია:

- ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად დაიცავით ქალაქი, უცხოს არ გაამარჯვებინეთ! - პარტიის მოაბჯრენი- ერთმანეთს ეხვევიან, კოცნიან.

ისინი, წესრიგის დამცველები, კი იშმუშნებიან. ამათ ხომ ყველაზე უკეთ იციან, რაც ჰქმნეს - როგორ ადინეს სისხლი მოძმეთ.

არა, არ არის ეს ქართველი ხალხის სათქმელი.

ქართველი ხალხი ორიოდე თვის შემდეგ იტყვის თავის სიტყვას - ბადრის დაკრძალვის დღეებში. ქართველი ხალხი საათობით დგას რიგში, რომ მის ცხედარს პატივი მიაგოს. მერე კი მის კუბოს ხელში აიტატებს და სამარეში ტაშისცემით ჩაასვენებს.

მძიმეა, ძალიან მძიმეა სამარეში ჩასვლა - იქნება ეს დუმილით თუ ტაშისცემით, მით უმეტეს იმ ადამიანისა, რომელიც ხალხს სჭიროდა.

ბადრი პატარკაციშვილი კი საქართველოს სჭიროდა - მას საქართველოს მოჯამაგირეობა ეწადა.

ამ ბოლო ხანს ხშირად ვფიქრობ: იმათგან, ვინც თბილისის ქუჩებს აყრუებდა შეძახილით: „ბადრის რა?“ სამარის კართან ვინ დაუკრავს ტაშს?

* * *

ამბობენ, ბ. პატარკაციშვილი ხელისუფლებამ მოწამლაო. არა მჯერა. რა საჭირო იყო - იგი უკვე მოწამლული გახლდათ - ქუჩებში ლანძღვა-გინება ვერ აიტანა კაცმა, რომელიც ადამიანებს სიკეთეს და სიცოცხლეს ჩუქნიდა.

გურამ გათიაშვილი

თქვენ რამდენიმეჯერ ახსენეთ ევროპაში ტერორიზმის და ანტისემიტიზმის გაზრდის შესახებ. გუშინწინ ამერიკის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია ებრაელობის და ებრაული დიასპორის დაცვის შესახებ. რას აკეთებს ქნესეთი და ისრაელის სახელმწიფო მთლიანობაში ებრაული დიასპორის მხარდასაჭერად მოცემულ სიტუაციაში, რომელიც როგორც თქვენ აღნიშნეთ საკმაოდ რთულია მთელ ევროპაში?

იული ედელშტეინი: მოცემულ მომენტში ჩვენ ვსაუბრობთ ძალიან არასასიამოვნო ურთიერთშერწყმაზე კლასიკური ანტისემიტიზმისა, რომელიც არსებობს შუა საუკუნეებიდან, მაგრამ ძირითადად ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ახალ ფორმასთან ანტისემიტიზმისა, რომელიც ცვლის სიტყვა „ებრაელს“ სიტყვით „ისრაელელი“ და აქცევს ვთქვათ ანტისემიტიზმს ლეგიტიმურ კრიტიკად. გასაგებია, რომ ებრაელები არ იპარავენ ქრისტიან ახალშობილებს, მაგრამ ისრაელელი ჯარისკაცები პალესტინელ ახალშობილებს ნამდვილად იპარავენო. გასაგებია, რომ ებრაელები იქ არც იმას აკეთებენ არც ამას, მაგრამ ყოველივე ისრაელის მოსახლეობის, ჯარისკაცების, ანტისემიტიზმის ლეგიტიმური კრიტიკაა. და უკვე გასაგებია, რომ აქ ერთხაზოვნად უნდა გავუსვათ ხაზი: ისრაელი დემოკრატიული ქვეყანაა. ჩვენ არ გვაქვს ამ საკითხში არანაირი კომპლექსი. როგორც ერთ-ერთ კონტექსტში აღვნიშნე, არავინ არის ვალდებული ჩვენ ვუყვარდეთ. არავინ არ უნდა ამბობდეს, რომ ისრაელი საუკეთესო ქვეყანაა მსოფლიოში. ჩვენ არ ვეძებთ სიყვარულს და გაგებას. ეს არის ჩვეულებრივი დემოკრატიული ქვეყანა თავისი ღირსებებითა და უარყოფითი თვისებებით. თუ შენ არ ხარ ებრაელი და ხარ ისრაელის მეგობარი, ვალდებული ხარ მიიღო ეს სენტიმენტები. ამავ დროს როდესაც ხალხი ისრაელში ჩამოდის ვიზის გარეშე, ეს ნამდვილად ახალი ფორმაა ურთიერთობისა. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც არ უყვართ ესა თუ ის ქვეყანა და თავს უფლებას აძლევენ ისაუბრონ ამა თუ იმ ერზე. ცოტა ადამიანი თუ შემხვედრია, რომლებიც რეალურად იტყვიან, რომ მსოფლიო უკეთესი იქნებოდა საფრანგეთის ან ისრაელის, ინგლისის ან უნგრეთის გარეშე. ეს ამოუხსნელია, თუ შენ არ გამოდიხარ როგორც ანტისემიტიზმი.

მეორე. რას აკეთებს ისრაელი? ისრაელს აქვს მუდმივი მონიტორინგი. როდესაც მე ვიყავი დიასპორის მინისტრი, ვიყავი პასუხისმგებელი ამ მონიტორინგზე. მე შემიძლია დავიკვეხნო, რომ, სამწუხაროდ, ციფრები ყოველთვის მერყევია ხან ზედა და ხან ქვედა ზღვარზე, რაც გვაშინებს. თქვენ ხომ თვითონ თქვით, რომ ეს კავშირშია ანტიისრაელურ განწყობასთან. მაშასადამე, მინდა ხოლმე გამოვიყენო ასეთი გრაფიკი, რომ თუ ახლო აღმოსავლეთში, ვთქვათ, საბრძოლო შეტაკებაა ე.ი. ეს ყველაფერი მიდის ზევით და როცა სიწყნარეა - ქვევით. როგორც კი, ვთქვათ, ღაზის ოპერაციაა ან რაც იყო თურქეთის ფლოტთან დაკავშირებით. და როდესაც ეს არ არის, მიდის ზევით. ისევ კლასიკურ ანტისემიტიზმს გავიხსენებ, როდესაც 60-იან წლებში იყო სერიოზული ეკონომიკური კრიზისი ითქვა, რომ ებრაელებმა დაანგრიეს ბანკები და ა. შ. უნდა ვთქვათ ხაზგასმით მკაფიოდ: ისრაელს არ შეუძლია, გაგზავნის ჯარისკაცები და პოლიციელები ან უშიშროების სამსახური, რათა დაიცვან სინაგოგა, ან სკოლა სხვა, სუვერენულ სახელმწიფოში. ეს შეუძლებელია. ასეთი რამ არ არსებობს. მაგრამ იქ, სადაც საჭიროა ვეხმარებით ფინანსურად შედარებით სუსტ ებრაულ სათვისტომოებს. მთავრობებთან ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა, რომ დაიცვან თავიანთი მოქალაქეები იქნებიან ისინი პოლონელები, ებრაელები თუ ინგლისელები. როდესაც ჩვენ ვებრძვით ტერორიზმს ქუჩებში, ჩვენ არ ვამბობთ, რომ დავიცავთ ებრაელებს ან არაბებს, ან ქართველებს. ასეთი რეალობაში არ არსებობს. ამიტომ ჩვენი მიმართვაა ევროპული და არა მარტო ევროპული ქვეყნებისადმი, რომ ყველა ღონე იხმარონ იქ, სადაც ეს შესაძლებელია ვერბალურ და სადაც შესაძლებელია, ფიზიკურ დონეზე, პოლიტიკურ, საომარ დონეზე, ყველა მოქალაქემ იგრძნოს, რომ დაცულია.

ჩაიწერა მარინე ვასაძემ

ებრაული თემა ქართულ მწერლობაში

მარიამ გარიყული

(წერილი მეოცე)

რუბრიკას უძღვება პროფესორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი



ქართული ლიტერატურის ისტორიაში მარიამ გარიყული (ნამდვილი გვარია თათეიშვილი. 1883-1960 წწ.) პირველი მწერალია, რომელმაც ქართველ ებრაელთა ცხოვრების აღწერას რომანი მიუძღვნა. მხედველობაში მაქვს 1933-1937 წლებში დაწერილი „გარღვეული მიჯნა.“ სამწუხაროდ, ნაწარმოების მეორე ნაწილი დღემდე არ დაბეჭდილა, რის გამოც მისი ტიპაჟი და პრობლემატიკა ბოლომდე დასრულებული და გამოკვეთილი არ არის. თუმცა, ამისდა მიუხედავად, რომანში დასმული საკითხებისადმი ავტორის დამოკიდებულებაზე მკითხველს მაინც ექმნება გარკვეული წარმოდგენა.

„გარდამავალი მიჯნის“ თითქმის ყველა პერსონაჟი, გარდა ფრაგმენტულად გამოყვანილი ორიოდე მოქმედი პირისა, ებრაელია. შესაბამისად, რომანში აღწერილი ყოფითი გარემოც ებრაულია. როგორც ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, მწერალი ღრმად და საფუძვლიანად იცნობს ებრაელთა ყოფას და შთამბეჭდავად წარმოაჩენს მის კოლორიტულ მხარეებს.

რომანის მთავარი პერსონაჟი იოხანან კრიხელი შეძლებული ვაჭარია, თანასოფლელ ებრაელთაგან მატერიალური სიმდიდრით გამორჩეული კაცი, რომელსაც სავაჭრო კავშირ-ურთიერთობები რუსეთის იმპერიის შორეულ ქალაქებთანაც კი აქვს დამყარებული. სოფელში მცხოვრები ღარიბი ებრაელები სწორედ მისი წყალობით შოულობდნენ საარსებო სახსარს. იოხანანი გასაყიდ საქონელს წინასწარ, ფულის გადახდის გარეშე, აძლევდა მათ, რაც დიდი შვება იყო ყოველდღიური ლუკმაპურის მაძიებელი ადამიანებისათვის. მართალია, კრიხელის ასეთი „წყალობა“ ღარიბი ებრაელებისათვის შემოსავლის სასიცოცხლო წყაროს წარმოადგენდა, მაგრამ ისინი იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ მათი „მწყალობელი“ ბატონი ამით თავადაც დიდ მოგებას ნახულობდა.

მ. გარიყულის რომანი არა მარტო ქართველ ებრაელთა იმჟამინდელ ცხოვრებაში ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ მძიმე ვითარებაზე გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას, არამედ იმ სოციალურ მდგომარეობაზეც, რომელიც საზოგადოდ მთელ ჩვენს ქვეყანაში სუფევდა იმხანად. იოხანან კრიხელის ოჯახისა და სოფელში მცხოვრები დანარჩენი ებრაელების სოციალური გამიჯვნა ერთმანეთისაგან რომანში საბჭოთა პერიოდის ჩვენი მწერლობისათვის ფართოდ დამახასიათებელი იდეოლოგიური ტენდენციურობითა და სწორხაზოვნებით ხდება. კერძოდ, იოხანანის მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ორსართულიანი სახლის ფონზე კიდევ უფრო საბრალობლად გამოიყურებიან მისი მეზობლების საცხოვრებელი ქოხმახები..

მ. გარიყულის რომანის მთავარი მოქმედი პირის — იოხანან კრიხელის ლიტერატურული ტიპი ბევრი რამით მოგვაგონებს იმ პერსონაჟებს, რომლებიც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულმა მწერლობამ შექმნა იმჟამინდელი სოციალური მოვლენების წარმოსაჩენად. ამ თვალსაზრისით იგი პირდაპირი მემკვიდრეა გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ჭ. ლომთათიძისა და იმ პერიოდში მოღვაწე სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან კარგად ცნობილი ლიტერატურული ტიპაჟისა.

მიუხედეავად იმისა, რომ მ. გარიყულის რომანში ასახული ეს სოციალური სინამდვილე წინამორბედ მწერალთა შემოქმედებაში უფრო მაღალოსტატურად და მასშტაბურადაა წარმოსახული, „გარღვეული მიჯნა“ მაინც უნდა ჩაითვალოს იმდროინდელ მოვლენათა საინტერესოდ წარმომჩენ ნაწარმოებად. ამგვარი შეფასების საფუძველს ის გარემოება განაპირობებს, რომ ეს სოციალური მოვლენები მწერალმა ქართველ ებრაელთა იმჟამინდელი ყოფითი და ეროვნული პრობლემების წარმოსახვის გზით გვიჩვენა. ამ თვალსაზრისით მ. გარიყულის რომანი ახალი პასაჟებით ამდიდრებს XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას.

გარდა ქართველ ებრაელთა ყოველდღიური ყოფისა, „გარღვეული მიჯნა“ რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებში, კერძოდ კი ოდესაში მცხოვრებ ებრაელთა ყოფაზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, ამ თვალსაზრისით საქართველოსა და რუსეთის სხვა რეგიონებში არსებული მდგომარეობა რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ებრაელების დიდი ნაწილი, ქართველი მოსახლეობის მსგავსად, ეკონომიკურად დაბეჩავებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეროვნული ნიშნით მათ დევნა-შევიწროებას არასოდეს ჰქონია ადგილი. აღნიშნული თვალსაზრისით სრულიად სხვა ვითარება იყო საკუთრივ რუსეთში. კერძოდ, საქართველოსგან განსხვავებით, იქ ებრაელთა დარბევა და აკლება-აწიოკება ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

რომანიდან იმ კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა და თანადგომის დამადასტურებელი ეპიზოდებიც საკმაოდ შეიძლება გავიხსენოთ, რომელიც ქართველებსა და ებრაელებს შორის იყო დამკვიდრებული.

„გარღვეული მიჯნის“ მკითხველის ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში სიღრმისეულადაა ახსნილ-წარმოჩენილი იმ დევნა-შევიწროების განმაპირობებელი მიზეზები, რასაც ებრაელები განიცდიდნენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მწერალი ცდილობს, მკითხველს ებრაელი ხალხის ეროვნული ყოფისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ იმ სპეციფიკურ მხარეებზეც შეუქმნას გარკვეული წარმოდგენა, რაც ამ ხალხს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი დევნა-შევიწროების საყოველთაო პროცესმა ჩამოუყალიბა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მცხოვრები ებრაელები ეროვნულ-სარწმუნოებრივი ნიშნით დევნილ-შევიწროებულნი არასოდეს ყოფილან, მათ მაინც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული იმ ტრაგიკული ბედისწერის არსი, რომელიც საზოგადოდ არგუნა ებრაელ ხალხს განგებამ.

მ. გარიყულის რომანი იმ ადამიანური თანადგომის შესახებაც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას, რასაც ებრაელები გასაჭირში ჩავარდნილი მოძმის მიმართ იჩენდნენ. ამ საქმეში უმთავრეს როლს მათი სარწმუნოება ასრულებდა, რომელიც ყოველ მორწმუნე ებრაელს გაჭირვებული მოძმისადმი ხელის გამართვას უწმინდეს ზნეობრივ მოვალეობად უსახავდა. სწორედ ამ მაღალი ადამიანური მოვალეობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის აქტიური თანადგომა, რომელიც ებრაელებმა ტრაგიკულად დაღუპული ჯანო მოზღვრიშვილის ოჯახის მიმართ გამოავლინეს. სალოცავში ამ ამბის გამო შეკრებილ ჯამაათს რაბინმა დაბეჯითებით მოუწოდა: „მას წვრილი ობლები და ქვრივი დარჩა. დახმარება უნდათ. პატიოსანი ისრაელი მუდამ მზად არის შეეწიოს და დაეხმაროს გაჭირვებულ ძმას. გაიღე, ისრაელო, შენი წვლილი და გადაუხადე ვალი ყოვლადმოწყალე ადონაის!.. ვის რამდენიც შეგეძლოთ, ვის რამდენიც გენებოთ!..“

რაბინის ეს მოწოდება ლიტონ სიტყვებად არ დარჩენილა და ჯანოს თანასოფლელმა ებრაელებმა, მათ შორის იოხანანმაც, საკმაო შესაწირავი გაიღეს ტრაგიკულად დაღუპული მოძმის ოჯახის დასახმარებლად. ამ თითქოსდა არც თუ ისე მნიშვნელოვანი ეპიზოდით მწერალმა არა მარტო ნაწარმოებში აღწერილი ტრაგიკული მოვლენისადმი გამოხატა რომანის მოქმედ პირთა ადამიანური თანაგრძნობა, არამედ მოყვასისადმი თანადგომისა და დახმარების შთამაგონებელ იმ მძლავრ შინაგან ზნეობრივ ძალაზეც შეგვიქმნა გარკვეული წარმოდგენა, რომელიც მშობლიური მიწიდან ბარბაროსულად გამოდევნილ და მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ებრაელობას ერთ მთლიან ერად კრავდა და ადუღაბებდა.

ფსალმუნთა ახალი თარგმანი

ისრაელში გამოიცა ფსალმუნთა წიგნი ,,სიმღერა მარიამისა“(თეჰილიმი — ,,შირათ მირიამ“). ფსალმუნები დაბეჭდილია ებრაულ ენაზე, აქვეა მისი ტრანსლიტერაცია და **ჯემალ აჯიაშვილისეული** ქართული თარგმანი. ტრანსლიტერაციის ავტორია **შმუელ აბრამიშვილი**, მასალის მომზადება, კომპიუტერული უზრუნველყოფა და გრაფიკა **ლევან აჯიაშვილისა**, პროექტის ხელმძღვანელია **ელიაუ მიხელაშვილი**.

გამომცემლის წინათქმაში ნათქვამია ,,წინამდებარე წიგნში ფსალმუნები სამი სახითაა წარმოდგენილი: დედნის ენაზე, -- ებრაულად, ტრანსლიტერაციით (ებრაული ტექსტი ქართული ასოებით) და ქართულად. სამივე ვერსია თანმიმდევრულად მიჰყვება ერთმანეთს,რაც მკითხველს ტექსტის სრულყოფილად გაცნობის საშუალებას აძლევს.

გამოცემას ,,სიმღერა მარიამისა“ ვუწოდეთ—თავმდაბალი და უაღრესად პატივცემული ადამიანის ნეტარხსენებული ქალბატონ მირიამ ბათ ნეთანელ ჰანოლოდეთ მინ სარა ეშეთ აბრაჰამ შაფთოშვილის სახელის უკვდავსაყოფად“

მკითხველს ვთავაზობთ პირველივე ფსალმუნის ჯ.აჯიაშვილისეულ ქართულ თარგმანს:

1. ნეტარ არს კაცი,ვინც არ მის-
დევს ბოროტთა ზრახვას,
არ შესდგომია ცოდვილთა გზას და
არ ზის მკრეხელთა საკრებულოში;
2. არაქედ უფლის მოძღვრებაშია
გულისთქმა მისი.
მის სწავლებაზე ჭირნახულობს
დღისით და ღამით.
3. იქნება იგი წყლის სადინართან
დანერგულ ხისებრ.
თავის დროზე რომ მიიღებს ნაყოფს
და არ დაჭკნება ფოთოლი მისი,
,და რასაც იზამს, ყველაფერში
წარეძლება.
4.ხოლო ბოროტნი სხვარიგ არიან:
ბზეს წააგვანან ქარისგან აღგვილს.
5. ამიტომ ვერარ წამოდგებიან
საძსჯავროზე ბოროტნულნი,
ვერც ცოდვილები უცოდველთა
საკრებულოში;
6.რაქეთუ გზანი გულმართალთა
უწყის უფალმა,
ხოლო ავკაცთა გზა-სავალი წარ-
იხოცება.

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

ვ ა ი ვ ა ი ხ

აარონ მდინარაძე

ერეც ისრაელში დაბრუნებასთან ერთად იაყაკოვ ავინუს გალუთი არ დამთავრებულა, მას ელოდება შეხვედრა ყესავთან, რომლის დაპირებაც კარგად ახსოვს: დადგება გლოვის დღეები მამის დაპატიოსნების შემდეგ და მოვკლავ იაყაკოვს, ჩემს ძმას (ბერეშით 27:41), ამიტომ, როგორც გვიხსნის თორის კომენტატორი რაში იგი ემზადება 3 მიმართულებით: ლოცულობს, უგზავნის ყესავს საჩუქრებს და ემზადება ომისათვის.

და იძახიან ჩვენი ხახმები, რომ ასე უნდა მოვიქცეთ ისრაელები ყველა თაობაში, „მიდრაშ რაბა“ გვიყვება, რომ როდესაც რაბი იეჰუდა ანასი, ჩვენი ხელმძღვანელი მიშნის პერიოდში, უნდა შეხვედროდა რომალებს - მაშინდელი ერეც ისრაელის დამპყრობლებს, ის ყოველთვის კითხულობდა და სწავლობდა თორის ამ თავს-ვაიშლახ .

საჩუქარი: საინტერესოა, რომ იაყაკოვი საჩუქარს ანაწილებს, თითქოს რა განსხვავებაა ადამიანს ვაჩუქებთ ერთიანად თუ ნაწილ-ნაწილ, მაგრამ როგორც გვიხსნიან ჩვენი კომენტატორები ზუსტად საჩუქრების რაოდენობით იხიბლება ყესავი.

ლოცვა: იაყაკოვ ავინუ ლოცულობა არ მარტო გაჭირვების დროს, არამედ მაშინაც როდესაც ყველაფერი კარგად აქვს, ის ფიქრობას, ხომ არ დამთავრდა ჩემი დამსახურებები, და ხომ არ მიხდის ჰაშემი ყველაფერს ამ ქვეყანაზე და ითხოვს მოწყალებას, ასე უნდა ვიქცეოდეთ ჩვენც, ვლოცულობდეთ ყოველთვის და მუდმივად

წერია „შულხან არუხში“ (98:3), რომ მლოცველი უნდა გრძნობდეს თავს, როგორც მათხოვარი სხვისი სახლის კარის წინ, რომელსაც არ გააჩნია არც საჭმელი, არც საკვები, და არც არსად წასასვლელი, ის აკაკუნებს კარებზე და ელოდება, რომ ვინმე მისცემს ერთ ნაჭერ პურს, ასეთი შეგრძნება უნდა ჰქონდეს ადამიანს ყველა ლოცვის წინ.

წერს გაონი ვილნოდან, რომ ლოცვა ეს არის ბრძოლა ავ ძალებთან, ისინი ცდილობენ ყველანაირად შეგვიშალონ ხელი, აგვირიონ ფიქრები, გაგვახსენონ ძველი ისტორიები, რომ არ ვიფიქროთ ლოცვის სიტყვებზე. მათ დასამარცხებლად აუცილებელია ლოცვისთვის მომზადება და მაქსიმალური კონცენტრაცია.

როდესაც ჩვენი ლოცვები არ არის საკმარისი უნდა მივმართოთ ცადიკებს, რომ მათ ილოცონ და ჩვენ თვითონაც არასოდეს არ უნდა შევწყვიტოთ ლოცვები.

ომი: გვიხსნის იგივე რაში, რომ იაყააკოვმა თავის ბანაკიც დაყო ნაწილებად, რომ თუ ყესავი დაამარცხებს ერთ ნაწილს, მეორე გადარჩება. იძახის რამბანი, რომ ეს პრინციპი ხშირად გამეორდება ჩვენს ისტორიაში, როდესაც ისრაელებს ჩაგრავენ რომელიმე ქვეყანაში, აუცილებლად ჩნდებოდა ადგილი სადაც მათ პატივისცემით იღებენ.

და მაინც ძირითადი, სადაც იაყაკოვმა უნდა დაამარცხოს ყესავი, ეს არის სულიერი ომი, როდესაც იაყაკოვის (ანუ ისრაელების) ხმა ისმის სალოცავებში და ბეით მიდრაშებში (იეშივებში), მაშინ ყესავი სუსტდება და ისრაელი იმარჯვებს.

შაბათ შალომ

ღამდენად შესაძლებელია ამ ახალმა რეალობამ შეცვალოს ევროპის ებრაელთა ყოფა. ამ საკითხებზე ისაუბრეს პროფესორმა **ალესანდრო პოლიტიმ**, **რობერტო ჯარაამმა**, **არიელ მუზიკანტმა**. საყურადღებო გახლდათ ებრაული თემების უსაფრთხოების ექსპერტის **ომრი სეგელმანის** გამოსვლა. იგი ებრაულ თემებს უსაფრთხოების შენარჩუნების ეფექტურ მოდელს სთავაზობს. არც ირანის ატომური შეიარაღებიდან მომდინარე საფრთხე დარჩენილა ყურადღების მიღმა. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა, რუსეთმა და აშს ირანთან მიაღწიეს შეთანხმებას და ირანს სანქციები ეხსნება. ამ საკითხებზე კონგრესს თავიანთი მოსაზრებები გააცნეს ამჟამინდელმა ან ყოფილმა ელჩებმა: **ჰანს დიტრიხ ლუკასმა**, **სონატ ჰარტმა**, **ნეორ გილონმა** და **ხავიერ მუტალმა**.

ისლამური გავლენის ქვეშ მოქცეულ საერთაშორისო წრეებში, დღითიდღე ძლიერდება საუბარი ისრაელის სახელმწიფოს დელეგიტიმიზციის თაობაზე, რასაც მსოფლიოს ებრაული კონგრესი სხვა ავტორიტეტულ ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურ პროპაგანდას უპირისპირებს. ეს პრობლემა უმნიშვნელოვანესია კონგრესის ხელმძღვანელობის სხვადასხვა სახელმწიფოების ლიდერებთან შეხვედრებისას,რადგან ისრაელის დელეგიტიმიზაცია ანტისემიტიზმის, ანტიისრაელიზმის ერთ-ერთი გამოვლინებაა. იგი წამოიწყეს ისრაელის სახელმწიფოებრიობის მტრებმა. ამ საკითხზე ისაუბრეს ელჩმა **იუვალ როტემმა** (ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო) და კონგრესის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ **კობი ბენატოფიმ** (იტალია).

პოლიტიკური შემეცნების თვალსაზრისით, ერთობ საინტერესო გამოდგა დარბაზობა, რომელიც კონგრესის პატივსაცემად გამართა იტალიის კონსტიტიციური რეფორმების მინისტრმა **მარია ელენა ბოშიმ**. ქ-მა ბოშიმ ისაუბრა იმ ღვაწლზე, რაც იტალიის ებრაელობამ დასდო ამ ქვეყნის მრეწველობის, მეწარმეობის,კულტურის განვითარებას, ყურადღება შეაჩერა იტალიისა და თანამედროვე ისრაელის ურთიერთობაზე. სასიამოვნო გახლდათ იმის მოსმენა,რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში კენჭისყრისას იტალია ისრაელის ინტერესების დამცველად გვევლინება. იტალიის ებრაული თემის პრეზიდენტმა, ადვოკატმა რენცო ჯატეგანიმ კი მარია ელენა ბოში დაახასიათა, როგორც ებრაელი ხალხისა და ისრაელის მეგობარი.

ვენეციაში გეტო 500 წლის წინათ შეიქმნა. ამ ქალაქის ებრაული თემის პრეზიდენტი **პაოლო ჯინჯინათი** აღმასრულებელი კომიტეტის წევრებს ესაუბრა იმის თაობაზე, რომ მომავალ წელს ვენეციაში აღინიშნება გეტოს 500 წლისთავი. გეტოში ებრაელთა გამომწყვდევა არა-რა სასიამოვნო და ღირსსახსოვარი ფაქტი არ არის,მაგრამ ამ იუბილეთი ვენეციის ებრაელობას სურს მსოფლიოს ებრაელობას უთხრას:მიუხედავად დრამატული წარსულისა, მიუხედავად იმისა რომ გეტოში ებრაელობას ძალიან უჭირდა, დღეს მტკიცედ დგას ფეხზე.

* * *

ის,რომ რომის პაპთან — ფრანცისთან შეხვედრა გაიმართებოდა, ადრევე გახლდათ ცნობილი. შეხვედრა პეტრე-პავლეს უზარმაზარ მოედანზე მანამ დაიწყო, სანამ რომის პაპი ხალხთან გამოვიდოდა. ამ დღეს, 28 ოქტომბერს, კათოლიკური ეკლესია რომელიღაც დღესასწაულს აღნიშნავდა, ამიტომ მოედანზე დიდძალი ხალხი დილიდანვე მოსულა—იცოდნენ რომის პაპი ხალხთან უნდა გამოსულიყო. პეტრე-პავლეს მოედანზე დაახლოებით 40000 კათოლიკეს მოეყარა თავი. აქ იყვნენ მოზარდები, სტუდენტები,სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მორწმუნენი. ამიტომ ვერ ვიტყვით რომ ეს იყო შეხვედრა მხოლოდ მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის წარმომადგენლებთან, თუმცაღა, კონგრესი პაპის ფანჩატურასთან ახლოს მიიწვიეს, ფაქტიურად, მის გვერდით ლოჟაში, მოგვიანებით კი პაპი კონგრესის პრეზიდენტსა და რამდენიმე კონგრესმენს თავის კაბინეტში შეხვდა და ესაუბრა.

პაპმა, ვიდრე თავის ადგილს დაიკავებდა, პაწია, ცნობილი ეტლით, რომლითაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობს, მოედანზე შეკრებილთ ჩამოუარა. ხალხი დიდი სიხარულით ეგებებოდა, იყო ერთი ყიჟინა, სიხარულის შეძახილები. მოგვიანეგით პაპმა თავის ფანჩატურაში დაიკავა ადგილი და რელიგიური რიტუალის მომთავრებისთანავე კონგრესის წევრებს მიესალმა. ერთობ საინტერესოდ ისაუბრა ებრაელბაზე.

შორეული პავლე მეოთხის მემკვიდრის — დღევანდელი კონტიფიკისგან ებრაელი კაცისათვის ერთობ სასიამოვნო გახლდათ შემდეგი ფრაზების მოსმენა:

ებრაელთა და კათოლიკეთა შორის **„გულგრილობა და დაპირისპირება თანამშრომლობად და კეთილმოსურნეობად გარდაიქმნა, მტრები და უცხონი მეგობრებად და ძმებად იქცნენ“.**

„ებრაელებზე თავდასხმა ანტისემიტიზმია, მაგრამ ებრაელთა სახელმწიფოზე თავდასხმაც ანტისემიტიზმია. შესაძლოა სახელმწიფოთა შორის იყოს წინააღმდეგობანი პოლიტიკურ საკითხებზე, მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ისრაელის სახელმწიფოს აქვს წმინდა მიწაზე არსებობის, უსაფრთხოებისა და განვითარების უფლება“.

ოფიციალური ცერემონიალის დამთავრების შემდეგ გვითხრეს რომის პაპს ებრაელებთან სურათის გადაღება სურს და იქნებ, იმ ტრიბუნასთან დაიკავოთ ადგილი, პაპიც მალე შემოგიერთდებათო.

ვიდრე ჩვენთან მოვიდოდა, პაპი ტრიბუნასთან ახლოს მდგარ, ჯერ კიდევ არდაშლილ ხალხს მიუახლოვდა, გამოესაუბრა,მერე ებრაელობისაკენ გამოეშურა. რომ მოგვიახლოვდა, ერთი ისეთი დეტალი შევნიშნე, მკითხველს უსათუოდ უნდა ვუამბო: რომის პაპი მომღიმარი მოდიოდა ებრაელებისაკენ (მე კი სულ მეთექვსმეტე საუკუნე და პაპი პავლე IV მედგა თვალწინ) უცებ შეჩერდა, სახე გაუცისკროვნდა, ხელები გაშალა და ჩვენს წინა რიგში მდგარ არგენტინელ **თომას სეიგისაკენ** წამოვიდა. თომასიც ხელებგაშლილი მიეგება, ერთმანეთს გადაეხვივნენ და ერთხანს ასე ერთურთს ჩაკრულნი იდგნენ. მოგვიანებით, სასტუმროში დაბრუნებულმა თომასს ვკითხე, საიდან იცნობ-მეთქი,ვიდრე ჩვენს ქვეყანაში იყო, ძალიან თბილი ურთიერთობა გვქონდა, ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდითო, მომიგო.

ერთის მხრივ იტალიის ხელისუფლების წარმომადგენლის—მინისტრ მარია ელენა ბოშის, რომლის შორეული წინაპრები იუდეას დაპყრობილ, უუფლებო ქვეყანად აქცევდნენ, ურჩ იუდეველთ ჯვარზე აკრავდნენ, დღე არ გავიდოდა, იუდეის ამათუიმ კუთხეში რომელიმე დაუმორჩილებელი იუდეველი ჯვარზე არ გაეკრათ, მეორის მხრივ,რომის პაპის ასეთი მიგებება ებრაელებთან, თომას სეიგის და მისი მღელვარე შეხვედრა მარწმუნებს,რომ ქრისტიანთა და იუდეველთა ურთიერთობის რთული ეტაპი განვლილია—შეცნობილია იუდეველთა როლი და ადგილი კაცობრიობის ისტორიაში,იუდეველთა ღვიძლი ძმები—მუსლიმები როდის შეიცნობენ ძმობის სიკეთეს?

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის მისია ესეც გახლავთ—ისრაელის, მსოფლიოს ებრაელობის გარშემო შეჰქმნას მშვიდობიანი, ნორმალური ატმოსფერო.

ახალი წიგნები

„ებრაული ტრადიციები“

„მენორა“ მკითხველს ხშირად აწვდის ინფორმაციას,ებრაული თემატიკის,თუ რა ახალი წიგნი გამოვიდა საქართველოში, რითაც დასტურდება, რომ ჩვენს ქვეყანაში გააქტიურდა რელიგიის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციის საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოცემა. ამის კიდევ ერთი დასტურია ,,ორ ავნერის“, ორგანიზაცია ,,ხაბადი საქართველოში“ და ლევ და ოლგა ლევაევების მიერ დაარსებული ,,ლევაევის ფონდის“ მხარდაჭერით გამოცემული წიგნები.

ამასწინათ კი ორ წიგნად გამოიცა ,,ებრაული ტრადიცია“ (ნაწილი პირველი და ნაწილი მეორე).წიგნის შესავალში რაბი მეირ კოზლოვსკი წერს: ,,თქვენს წინაშეა ,,ებრაული ტრადიციის“პირველი ქართულენოვანი გამოცემა.ეს წიგნი იმ დიდი პროექტის დასაწყისია,რომელიც ებრაული სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე გამოცემას გულისხმობს.

ვიმედოვნებ,რომ ეს სახელმძღვანელო დაგვეხმარება მომავალი თაობის სწორად აღზრდის საპასუხისმგებლო საქმეში და მათი ებრაული წესით ცხოვრების გზამკვლევი გახდება“

წიგნი იძლევა ვრცელ ინფორმაციასებრაული დღესასწაულების, კალენდრის, ქაშრუთის და სხვა საკითხების თაობაზე.

პროექტის ხელმძღვანელია ც.კოზლოვსკი,წიგნი თარგმნილია მ.იოსებაშვილის მიერ, კორექტორები: რაბი ბ. ისრაელაშვილი, ს.ფილფანი, ხ. ხუხაშვილი, დიზაინი—გ. ბლეიხისა.

„თორა“



ასევე ,,ლევაევის ფონდის“ მხარდაჭერით ორ წიგნად გამოიცა სასწავლო-მეთოდური კრებული ,,თორა“. პირველი წიგნი მოიცავს თავებს სამყაროს შექმნიდან ეგვიპტიდან გამოსვლამდე. მეორე ნაწილი — ,,მათან თორა“ — ,,ერეც ისრაელ.“ შესავალ ნაწილში ,,ორ ავნერის “ ხელმძღვანელი საქართველოში რაბი მეირ კოზლოვსკი წერს:,,ებრაული ტრადიცია თორის შესწავლის პროცესს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვიმედოვნებ, ეს წიგნი ჩვენი დიდი მემკვიდრეობის კიდევ უფრო უკეთ ათვისებაში კარგ სამსახურს გაგვიწევს“

ქართულენოვან წიგნზე იმუშავა პროექტის ხელმძღვანელმა ც.კოზლოვსკიმ, წიგნი შეადგინა და რედაქტირება გაუწია ხ.ხუხაშვილმა, კორექტორები ხ. ხუხაშვილი, ბ.ისრაელაშვილი, ს. ფილფანი და მ.იოსებაშვილი, დიზაინი ეკუთვნით გ.ბლეიხსა და ს. ტარყაშვილის.

საგულისხმოა ერთი გარემოება: მეირ კოზლოვსკიმ ,,მენორასთან“ საუბარში განაცხადა: ჩვენს ზოგადსაგანმათლებლო სკოლაში ბევრი ებრაელი მოზარდი სწავლობს, მაგრამ უფრო მეტი სკოლის გარეთაა,არიან ბავშვები, რომლებიც თბილისში არ ცხოვრობენ და ბუნებრივია, ,,ხაბადის“ სკოლაში ვერ ისწავლიან. ჩვენს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების კარგად შესწავლით, დაინტერესებულ ბავშვებს შეუძლიათ ექსტერნად ჩააბარონ გამოცდები. ბ-მა მეირ კოზლოვსკიმ ისიც აუწყა ,,მენორას“ მკითხველს, რომ საქართველოს ხელისუფლების დახმარებით, ,,ხაბადს“ კრწანისში უკვე გამოეყო მიწის ნაკვეთი, სადაც შენდება სკოლა,ეს იქნება ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით აღჭურვილი სასწავლო ცენტრი.

ლისაბონის შეკრება

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესმა პორტუგალიაში, ლისაბონში მსოფლიოს 40 ქვეყნის ებრაული სათემო მუშაობის პროფესიონალები შეკრიბა, რომელზეც განიხილებოდა სათემო ცხოვრების საკითხები. საქართველოდან შეკრებაში მონაწილეობდა ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლი ფონდის დირექტორი ელენე ბერკოვიჩი.

გასწორება — „მენორას“ წინა (მე-10) ნომერში გაიპარა შეცდომა: შიდა გვერდებზე ნაცვლად ივლისისა უნდა იყოს ოქტომბერი.

შავკანიანი რაბინი?

მსოფლიოს შავკანიან ებრაელთა მთავარ რაბინად ოფიციალურად აღიარებული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ლედის მიშელ ობამას ბიძაშვილი ჩიკაგოელი რაბინი კეიპერს ფუნაი. ის, რაც წაიკითხეთ, საგაზეთო ხუმრობა არ გეგონოთ: რაბი ფუნაი ერთობ ცნობილი პიროვნებაა — იგი გახლავთ ჩიკაგოს ეთიოპიელ ებრაელთა თემის — ბეთ შალომის ხელმძღვანელი და ჩიკაგოს რაბინთა საბჭოში პირველი შავკანიანი რაბი. ამიტომ შავკანიან ებრაელთა მსოფლიო კავშირში მთავარი რაბინის პოსტი სავსებით ლეგიტიმურად დაიკავა. ამ კავშირს მავისი ფილიალები აქვს კარიბის ბასეინის ქვეყნებში, სამხრეთ აფრიკაში, უგანდასა და ნიგერიაში.

სამხრეთ კაროლინის არაებრაულ ოჯახში დაბადებულმა კეიპერს ფუნაიმ გიური ორჯერ გაიარა: ჯერ ისრაელის რაბანუთის აკადემიაში, ხოლო შემდეგ, იმის გამო რომ ამ აკადემიის გიურს ბევრი ებრაული ორგანიზაცია არ სცნობს, 1985 წელს კეიპერს ფუნაის ებრაელობაში გადასვლა დაამტკიცა კონსერვატიული მოძრაობის რაბინთა სასამართლომ. ამ ხნის განმავლობაში ფუნაიმ ებრაულ დისციპლინათა ბაკალავრის ხარისხიც მიიღო.

„ბეით შალომის“ თემი ძირითადად აფრო-ამერიკელებისაგან შესდგება. ისინი მტკიცედ იცავენ ქაშრუთს, შაბათს, მამაკაცთა და დედაკაცთა ცალკ-ცალკე ლოცვის რიტუალს.

„ანტისემიტიზმის ფაქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში (2015 წლის იანვარი—ივნისი)“

რუსეთის ებრაული თემის ექსპერთთა ფგუფმა ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის ეგიდით მოამზადა ყოველწლიური ანგარიში, რომელშიც დაწვრილებით გახლავთ შესწავლილი 2015 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში რა ანტისემიტურ ფაქტებს პქონდა ადგილი პოსტსაბჭოურ სივრცეში, როგორი იყო საზოგადოების მიმართება ამ ფაქტებისადმი, რა ღონეს მიმართავდნენ სამართალდამცავი ორგანოები მათს აღსაკვეთად და ა. შ.

შრომაში აღნიშნულია, რომ ამ მიმართებით — ანტისემიტური აქტების სიმცირით--დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით პოსტსაბჭოური სივრცე „სიმშვიდის კუნძულად“ გამოიყურება. ეს გარემოება რამდენიმე მიზეზით აიხსნება: ამ ტერიტორიებზე შემცირდა ებრაელთა რაოდენობა, ზღვა ხალხში ებრაელები, როგორც თავდასხმის ობიექტები, ძნელადამოსაცნობი გახდნენ, მასების შემეცნებაში მტრის ხატი შეიცვალა — ებრაელი აღარ ითვლება მთავარ მტრად. ახლა, მაგ. რუსეთში მტრად მიგრანტი მუსლიმები და დასავლეთი ითვლება, უკრაინაში — იმპერიალისტური რუსეთი, სომხეთში — აზერბეიჯანი, აზერბეიჯანში — სომხეთი.

მიუხედავად ამისა, ამ სივრცეში ანტისემიტური ქმედებები მაინც გახშირებულია, განსაკუთრებით ევროპულ ნაწილში. მაგ. რუსეთში იანვარ ივნისში ანტისემიტური (რატომღაც იგი კავკასიელთა მიმართ სიძულვილთანაც დააკავშირეს) ქმედებებისათვის გაასამართლეს 15 ადამიანი, ასეთი გამოვლინებანი ხშირია უკრაინის, ბელორუსიის ტერიტორიებზე.

სასიამოვნოა ის, რომ ანგარიშში საქართველო ნახსენებიც არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კვლავაც რიგზეა.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003